პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 მარტი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 62 (9729) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სპორტის პროპაგანდა სპორტული ასპარეზობით

დიახ, სპორტის პროპაგანდა სპორტული ასპარეზობით! რა თქმა უნდა, ეს ახალი თემა არ გახლავთ, მაგრამ თუ დღეს უურადღებას განსაკუთრებით ვამახვილებთ ამ საკითხზე, მხოლოდ იმიტომ, რომ, რაც კეთდება, საკმარისი აღარ არის, სპორტული შეჯიბრებები ახლებურად უნდა ჩავაყენოთ სპორტის პროპაგანდის სამსახურში.

უდავოა, კარგად ორგანიზებული მაღალი რანგის ასპარეზობა დიდ სტიმულს აძლევს სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარებას იმ რეგიონში, სადაც იგი ტარდება. განა ძიუდოს ეხოდენ დიდ პოპულარობას ჩვენს რესპუბლიკაში ხელი არ შეუწყო თბილისის ტრადიციულმა საერთაშორისო ტურნირმა? შედეგები კი ყველას კარგად მოეხსენება. ამერიკის შეერთებულ შტატებში სპეციალურ მატჩებს აწყობენ ცნობილი საფეხბურთო გუნდებისა და სპორტსმენების მონაწილეობით, რათა მთელ მსოფლიოში პოპულარული ეს თამაში ამერიკელებმაც შეიყვარონ.

სპორტის პროპაგანდას დიდად უწყობს ხელს, ვთქვათ, ფეხბურთელთა მატჩების დაწყებამდე და შესვენებისას სხვადასხვა სახეობაში ასპარეზობა. მაგალითად, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ფეხბურთელთა საკავშირო მატჩების დაწყებამდე და ტაიმებს შორის შესვენებისას ხშირად ეწყობა ასეთი ღონისძიებები. ეს სიახლე რესპუბლიკის ყველა სტადიონზე და სპორტულ ბაზაზე უნდა დაინერგოს. საქართველოს ტელევიზიის პრიზზე „დინამოს“ სტადიონზე მძლეოსანთა ასპარეზობისას ყველანი კარგად ვხედავთ, როგორა გვაქვს საქმე მძლეოსნობის მასობრიობისა და ხარისხის მხრივ რესპუბლიკაში. რატომ არ უნდა ჩატარდეს ასეთივე შეჯიბრებები ჩვენი ქალაქებისა და რაიონების სტადიონებზე, როცა საქართველოს პირველობის ან I ლიგის მატჩები იმართება? მაშინ იქნებ უკეთესი მძლეოსნებიც გვეხილა „დინამოს“ სტადიონზე. ამაზე უნდა დავფიქრდეთ და, თუ საჭიროა, დავავალოთ კიდეც ამგვარ ღონისძიებათა მოწყობა ადგილობრივ სპორტულ ხელმძღვანელებს. ასეთივე შეჯიბრებები უნდა მოეწყოს სპორტის სხვა სახეობებში, აგრეთვე სპორტის ეროვნულ სახეობებში და ხალხურ თამაშებში, უნდა დაიგეგმოს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. იქნებ საქართველოს სპორტსახკომისა და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების მეთოდურმა კაბინეტმა ერთობლივი რეკომენდაციებიც შეიმუშაონ... ასეთი ღონისძიებები, გარდა იმისა, რომ რეგიონში ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობის თავისებური სარკეა, ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის ყველაზე ქმედითი საშუალებაც არის.

„ლელოს“ რედაქცია მზადაა გამოაცხადოს კონკურსი-დათვალიერება და წლის ბოლოს გამოავლინოს სამ-სამი საუკეთესო რაიონი და ქალაქი. ახლო მომავალში ამ საკითხზე კვლავ გვექნება საუბარი.

თბილისში დამთავრდა ჭაბუკ კალათბურთელთა (1970-1971 წ. წ.) საკავშირო პირველობის ფინალური ტურნირი, რომელშიც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა თბილისის „მართვემ“. გამარჯვებული გუნდის წევრებს ძრაკლი ბაქრაძეს, ლაშა ვაშაკიძეს, დავით თორთლაძეს, დავით დაუშვილს, დავით უსტიაშვილს, ზვიად კოტრიკაძეს, გოდერძი კორძაძეს, ამროსი ორმოცაძეს, შალვა ცხვედიანს, კახაბერ შენგელიასა და დავით ღლონტს ოქროს უეტონები გადაეცათ. სიგელებით დაჯილდოვდნენ გუნდის მწვრთნელები თამაზ ოქრუაშვილი და ვაჟა ჭკუასელი.

(შეჯიბრების ანგარიში მე-4 გვ.).

თ. სულაქველიძე კვლავ ნაკრებშია

საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირისთვის, რომელიც 31 მარტს დაიწყება დასავლეთ ბერლინში, სსრ კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით ემზადებოდა:

მეკარეები — რ. დასაევი („სპარტაკი“), ა. ქიდკოვი და ვ. ჩანოვი („დინამო“, კიევი); **მცველები** — ს. ბალტაჩა, ა. დემიანენკო, ო. კუზნეცოვი და ვ. ბესონოვი („დინამო“, კიევი), ვ. სუკრისტოვი („ალგირისი“), თ. სულაქველიძე („დინამო“, თბილისი), ვ. ხიდიატულინი („სპარტაკი“); **შუა ხაზისა და შეტევის მოთამაშეები** — ს. გოცმანოვი და ს. ალეინიკოვი („დინამო“, მინსკი), პ. იაკოვენკო, ვ. რაცი, გ. ლიტოვჩენკო, ა. ზავაროვი, ი. ბელანოვი და ო. პროტასოვი („დინამო“, კიევი), ს. როდიონოვი და ვ. პასულკო („სპარტაკი“).

ნაკრების უფროსია ნ. სიმონიანი, მწვრთნელები — ი. მოროზოვი და ს. მოსიაგინი. ავადმყოფობის გამო ტურნირზე ვერ მიემგზავრება გუნდის უფროსი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი.

პირველი ტურის მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: 31 მარტი. სსრ კავშირი — არგენტინა, გფრ — შვეცია. გამარჯვებული გუნდები 2 აპრილს ერთმანეთს შეხვდებიან მთავარი პრიზისთვის.

ამჯერად კინემატოგრაფისტებთან

გუშინწინ საღამოს თბილისის კინოს სახლში რესპუბლიკის სპორტსახკომისა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თაოსნობით გაიმართა შეხვედრა სხვადასხვა თაობის სპორტსმენებთან, რომელთა შორის იყვნენ რესპუბლიკის ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრები.

შეხვედრა გახსნა და ქართველ კინოხელოვანთა ამოცანებზე ისაუბრა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა გ. დვალიშვილმა. შემდეგ აჩვენეს რ. თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმები. დასასრულს რ. თაბუკაშვილმა პასუხი გასცა სპორტსმენთა შეკითხვებზე.

მაგნიტური დღეები აპრილში

პრესაში ყოველი ახალი თვის წინ ქვეყნდება ხოლმე ეგრეთ წოდებული მაგნიტური დღეები. აპრილში, როგორც გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ 27 მარტის ნომერში იუწყება, ასეთი დღეებია 4, 8, 13, 18, 19, 22.

ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი ბიბლიოთეკა

ინსტიტუტში მიმდინარეობს გამოცდები

და სიახლეები

დღეს ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარეობს გარდაქმნა. ცხადია, ეს პროცესი უმაღლეს სკოლასაც შეეხო. 16 მარტს პრესაში გამოქვეყნდა უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი წესები. საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში გამოცდებთან დაკავშირებით დანერგილ სიახლეებზე გვესაუბრება ინსტიტუტის რექტორი ომარ გოგიაშვილი:

—უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი წესების შემოღება საერთო დემოკრატიზაციის პროცესს უკავშირდება. ადგილობრივი სპეციფიკისა და სპეციალისტების აზრის გათვალისწინებით უმაღლესი სკოლების მიმღებ კომისიებს უფლება ეძლევათ თვითონ განსაზღვრონ მისაღები გამოცდების რაოდენობა, შეარჩიონ ჩასაბარებელი საგნები. საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მიმღებმა კომისიამ იმსჯელა გამოცდების ახალ წესებთან დაკავშირებით და მიიღო ასეთი გადაწყვეტილება: დღის განყოფილების ყველა სპეციალობაზე ჩაბარდება ოთხი საგანი: 1. სპეციალური ფიზიკური მომზადება, 2. სპორტის არჩეული სახეობა, 3. ბიოლოგია, 4. მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა). აქედან პირველი გამოცდა (სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში) ჩატარდება სისტემით „დამაკმაყოფილებელი — არადამაკმაყოფილებელი“, დანარჩენი სამი საკონკურსო საგნის ჩაბარების საფუძველზე კი მოხდება სტუდენტთა ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩაბარდება სამი საგანი: 1. საერთო ფიზიკური მომზადება, 2. ბიოლოგია, 3. მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა). სამივე საგანი საკონკურსოა. ალბათ მიხვდით, რომ ჩასაბარებელი საგნები უცვლელი დატოვეთ. საქმე იმაშია, რომ მისაღები გამოცდების ჩაბარების ახალი წესების პროექტმა დაიგვიანა, ამიტომ ახლა, როცა გამოცდებმა თითქმის კარზე მოგვიკაკუნა, საგნების შეცვლა ბევრ უხერხულობას გამოიწვევდა.

კიდევ ერთ არსებით სიახლეზე მოგახსენებთ: შეიცვალა გამოცდების ჩაბარების ვადები. საბუთების მიღების ვადებია 25 ივნისიდან — 15 ივლისამდე. გამოცდები კი 16 ივლისიდან დაიწყება და 25 აგვისტომდე გასტანს.

სიახლეა ისიც, რომ დაუსწრებელ განყოფილებებზე მხოლოდ ის აბიტურიენტები ჩაირიცხებიან, რომლებიც მომავალი სპეციალობის პროფილით მუშაობენ.

აი, ყველაფერი, რისი თქმაც დღეისათვის შემიძლია. იმაზე კი, თუ რას მოგვცემს ეს სიახლე ან რა პრობლემები გაჩნდება, საუბარი მომავალში გავაგრძელოთ.

ჩაიწერა
ნინო სიმონიშვილმა.

ჩამოსათვლელად ადვილია, მაგრამ...

ქარელის რაიონის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყვეს ამ რაიონში აღზრდილ სპორტსმენებს, ცნობილ სამბისტებს — გასული წლის მსოფლიო ჩემპიონს ჯემალ მჭედლიშვილს და საბჭოთა კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონს მალხაზ ბერუაშვილს.

ამაგდარმა მწვრთნელმა, ბევრი გამოჩენილი ფალავნის აღმზრდელმა, საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა გურამ პაპიტაშვილმა თავისი სიტყვა ასე დაიწყო:

— რა ადვილად ჩამოთვალეს ჯემალ მჭედლიშვილისა და მალხაზ ბერუაშვილის ტიტულები, წუთიც კი არ მოანდომეს. არადა, ამ ტიტულების მოპოვებას წლების მანძილზე თავაუღებელი შრომა და ოფლის ღვრა უძღოდა წინ.

შეხვედრაზე მოგონებებითა და სიტყვებით გამოვიდნენ სახელოვანი ფალავნების მწვრთნელები, თანასოფლელები, პედაგოგები, მეგობრები, სკოლის მოსწავლეები. ამით ეს თავყრილობა ჰგავდა სხვა შეხვედრებს, მაგრამ ამავე დროს, ეს იყო განსაკუთრებით საზეიმო, ამაღლებული განწყობილების, იმპროვიზებული საღამო (ამაში დიდი წვლილი შეიტანა რაიონული გაზეთის რედაქტორმა ვასილ მამულაშვილმა). გამომსვლელებმა ილაპარაკეს ქართლის ამ პატარა კუთხის ისტორიულ როლზე. გაიხსენეს ბევრი ღირსშესანიშნავი მოვლენა, პატივი მიაგეს აქ დაბადებულ და აღზრდილ სასახელო მოღვაწეებს.

საღამოზე ითქვა ისიც, რომ მალხაზ ბერუაშვილის ბიძამ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა დურმიშხან ბერუაშვილმა სათავე დაუდო რაიონის მოჭიდავეთა უდიდეს წარმატებებს. ჯემალ მჭედლიშვილის მამა კი, ვლადიმერი, თავად იყო შვილის პირველი მასწავლებელი. თავის დროზე მას არაერთი თავმოწონე ვაჟკაცი წაუქცევია ნახერხმოყრილ წრეში.

სიტყვით გამოსულმა ჩვენი ქვეყნის პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ძიუდოში, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა შოთა ჩოჩიშვილმა ფალავნებს „წყალი გადაუწურა“ — მთავარი ბრძოლები წინ არის, — ის, რასაც მიაღწიეთ, ზღვაში წვეთიაო.

დარბაზში მსხდომებმა შეკითხვებით მიმართეს ჩემპიონებს.

ჯემალ კასრაძე,
„ლელოს“ სპეც. კორ.

ავტორის ფოტო

SOS

სეზონს უპასუხისმგებლოდ იწყებენ

2 აპრილს სტარტს იღებს საქართველოს საფეხბურთო პირველობის გათამაშება II და III ჯგუფების გუნდებს შორის. ჩვენი გაზეთის 31 იანვრის ნომერში დაიბეჭდა რესპუბლიკის გუნდების განაცხადების მიღების გრაფიკი და რაოდენ გასაკვირია, რომ II და III ჯგუფების ბევრ კოლექტივს მიუხედავად საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს მრავალი შეხსენებისა, მოთამაშეთა საგანაცხადო სიები დღემდე არ წარუდგენია.

რატომ ჰგონიათ ზოგიერთ რაიონებში, რომ გუნდების ყოფნა-არყოფნა მათს პირად შეხედულებასა და ინტერესებზეა დამოკიდებული? განაცხადები ფეხბურთის სამმართველოში დღემდე არ წარუდგენიათ: სოხუმის „სუბტროპიკს“ (აფხაზეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ლოგუა, ქ. სოხუმის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გეგია. გუნდი იცავს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ღირსებას), ცხკაიას „განთიადს“ (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ბოჭორიშვილი), აბაშის „ზანას“ (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გახოკიძე), ქედის „ბეთლემს“ (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დიასამიძე), კახპის „მეფრინველეს“ (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ჯალალი), საგარეჯოს „გარეჯს“ (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ოდიკაძე), თბილისის „იმედს“, რუსთავის „მეტალისტს“ და „მეტალურგ“-ს-ს.

საქმისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით ქართული ფეხბურთის ინტერესებთან დაკავშირებულ პრობლემებს ვერ გადავჭრით. ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲯᲐᲛᲘ ᲨᲘᲤᲠᲘᲡᲐ, ᲯᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡᲐ — ᲮᲐᲠᲕᲔᲖᲔᲑᲖᲔ — ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓᲐ!



ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲡ ᲓᲒᲔᲑᲐ!..

არა, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები ჩვენს მზიან რესპუბლიკას ზამთრის სპორტის სახეობებში არასდროს ჰყოლია. თუმცა დიდ საერთაშორისო ასპარეზობებზე მაინც გამოდიოდა ერთი „ნაღდი კაცი" — შესანიშნავი მხტომელი კობა წაქაძე, „მფრინავ ტორპედას" რომ ეძახდნენ მსოფლიოს დიდ ტრამპლინებზე. მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ იყო. ისე კი წელს, კალგარის თეთრ ოლიმპიადაზე კანადამ მეორე ქართველი ოლიმპიელიც მოხვდა ქვეყნის ნაკრებში — ინგა გილაური. სამწუხაროდ, თბილისელ ციგურებით მჭრბენალს კანადის ამ ქალაქში ჩასვლისათვის, რომ იტყვიან, ერთი ნაბიჯი დააკლდა.

რაც შეეხება საკავშირო სპარტაკიადებს, აქ რამდენიმე ჩემპიონი გვყავდა — ტრამპლინიდან მხტომელი მიხეილ გავა-უმცროსი და სამთო-მოთხილამურენი იბრაჰიმ ჯანგობეკოვი, ბორის კახიანი, ვიქტორ სანაკოევი. დაუმატეთ ამას მიხეილ გავა-უფროსი, ციალა ფანჯიკიძე, ლიანა გოგოლაძე, გერა აბრამიშვილი, სოსო ნასყიდაშვილი, გიორგი ჯიჩოევი, ნათელა ფალიანი, მერი და ცირა კოზანაშვილები, მრბოლი ნანა ბაღაშვილი, მოციგურავენი მარინე ცერცვაძე, ლიანა გაბელაია, ბადრი ყურაშვილი, ნელი დვალიშვილი, პირველი ქართველი ჰოკეისტები — ძმები დონაძეები, გიორგი ნატროშვილი, თემურ გიგინეიშვილი და სხვები. ერთი სიტყვით, სპორტის ზამთრის სახეობების ჩვენს წარმომადგენლებს საკავშირო სარბიელზე ანგარიშს უწევდნენ.

დღეს ვინა გვყავს? ინგა გილაურის გარდა კიდევ ანდრეი ტოროსიანი, ძმები ორჯონიკიძეები, კახა წაქაძე, იბრაჰიმ გობოზოვი, კახა ვახტანგიშვილი და ლევან თიბილოვი. ესაა და ეს! აი, ზამთარი კი თავისი მრავალრიცხოვანი შეჯიბრებებით — საერთაშორისო თუ საკავშირო ტურნირებით, მოგეხსენებათ, ყოველ წელიწადს მოდის, ოთხ წელიწადში ერთხელ კი ოლიმპიადები და სპარტაკიადები იმართება. ჩვენ კი აი, თითო-ოროლა ღირსეულს თუ გამოვიყვანთ, ისიც თითო დისციპლინაში იმ სპორტსმენთა რიცხვიდან, ზემოთ რომ ჩამოვთვალეთ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ხომ შეიძლება ჭაბუკთა ასპარეზობა გვეწვიოს, აი ისე, როგორც წელს იყო — ასპარეზობა, რომლის სტარტზე იმ შესანიშნავი შვიდეულიდან ორს თუ გამოიყვან იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ასაკი აქ მკაცრად განსაზღვრულია. ისე რომ, მრავალნაკადნი, ასე ვთქვათ, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ცვლა, ღირსეული ცვლა? აი, სწორედ ამაზე გვაქვს აქ ლაპარაკი, სწორედ ეს აწუხებს დღეს სპორტის მესვეურებსა და ზამთრის სახეობათა თაყვანისმცემლებს.

ამას წინათ დამთავრებული ჭაბუკთა ზამთრის II საკავშირო თამაშები, შეიძლება ითქვას, პირველი ეტაპი იყო იმ დიდ ასპარეზობათა შორის, რომლებიც მას მოჰყვება — საკავშირო I ახალგაზრდული თამაშები (გაიმართება გაისად) და სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის VII სპარტაკიადა (გაიმართება 1990 წელს). ამიტომაა, რომ ჭაბუკთა თამაშებს ახალგაზრდა სპორტსმენების, ჩვენი რეზერვის, დღევანდელი მდგომარეობის დიდი დათვალიერების მნიშვნელობაც ენიჭებოდა — მას გარკვეულწილად უნდა გაეცა პასუხი, თუ რას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული უურადღება, რა გზით წარვმართოთ ჩვენი აქტიურობა.

სპარტაკიადის პროგრამაში 10 სახეობა იყო შეტანილი. საქართველოს სპორტულ დელეგაციაში ამჯერად მხოლოდ სამი სახეობის წარმომადგენლები იყვნენ. შედარებისათვის ვიტყვით, რომ ჭაბუკთა I თამაშებზე ჩვენი რესპუბლიკა ოთხ სახეობაში გამოდიოდა — სამთომოთხილამურეებთან, ტრამპლინიდან მხტომელებთან, მოციგავეებთან ერთად ჩვენი ფიგურული მოციგურავენიც ასპარეზობდნენ და ნაღამ მეორე ქართველი ოლიმპიელიც მოხვდა ქვეყნის ნაკრებში — ინგა გილაური. სამწუხაროდ, თბილისელ ციგურებით მჭრბენალს კანადის ამ ქალაქში ჩასვლისათვის, რომ იტყვიან, ერთი ნაბიჯი დააკლდა.



ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ ᲬᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚᲔᲑᲘ — ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲔᲔᲑᲗᲐᲜ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ დოსაფის სასროლოსპორტულ კლუბში დამთავრდა ბათუმის საქალაქო პირველობა ტყვიის სროლაში, რომელშიც მონაწილეობდნენ საწარმო-დაწესებულებათა და სასწავლებლების ფიზკულტურული კოლექტივები.

საერთო გუნდური გამარჯვება ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის მსროლელებმა მოიპოვეს, რომლებმაც 600 შესაძლებლიდან 458 ქულა მოაგროვეს.

II ადგილზეა პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდი, III-ზე — საკავშირო დეპოს კოლექტივი.

პირად პირველობაში მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე სროლაში ქალთა შორის 85 ქულით ჩემპიონი გახდა ლ. ცხომელიძე (საკავშირო დეპო). მეორე ადგილზე გავიდა ე. იარემჩუკი (აჭარის თევზჭერის ფლოტის სამმართველო), მესამეზე — დ. ტუჩაშვილი (სამხატვრო სასწავლებელი).

ვაჟთა შორის, რომლებიც იგივე პროგრამით ასპარეზობდნენ, გამარჯვა ი. რაზგოზოვმა (აჭარის თევზჭერის ფლოტის სამმართველო) — 88 ქულა, II და III ადგილები შესაბამისად დაიკავეს ი. დანილოვმა (ელექტრომექანიკური ქარხანა) და დ. ფხაკაძემ (პედინსტიტუტი).

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲕᲨᲐᲠᲐᲫᲔ.

„ᲚᲔᲚᲔᲚᲘᲡ" ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

27 და 28 მარტს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის მატჩები.

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 2:1 (0:1).
მოსკოვი. ცსკა-ს დახურული სპორტკომპლექსი. 28 მარტი.
„ლოკომოტივი“: ჩერჩესოვი, სოლოვცოვი, გორლუკოვიჩი, ბაზულევი, კალაიჩევი (მილეშკინი 85), გორკოვი, ატაულინი, გალაკბეროვი, გურინოვიჩი (მაზურინი, 62), რუსიაევი, დოზმოროვი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, თარბა, ცვეიბა (ჭედია 62), არზიანი, რევიშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ტყებუჩავა (ფანცულაია, 61), გურული, გ. ჯიშკარიანი.
მსაჯი პ. კობიჩიკი (ჩერნოვცი).
დუბლიორები — 5:1. დინამოელთაგან ბურთი გაიტანა ცხადაძემ.

მოსკოვის „ლოკომოტივი“ უმაღლეს ლიგაში უკანასკნელად 1980 წელს გამოდიოდა, დინამოელებმა იმ წელს მოსკოველებთან ორ წრეში 3 ქულა აიღეს. მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს დიდი ხნის წინ იყო და ამ თავისებურ „არქეოლოგიურ“ მატჩებს დღევანდელობასთან მცირერამ თუ აკავშირებს. დღეს „დინამოც“ სულ სხვა გუნდია და „ლოკომოტივიც“, ამიტომაც ორივე მათგანს მხოლოდ და მხოლოდ დღევანდელი რეალობის თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ.

თბილისს „დინამოს“ წლეულს ყველანი იმედის თვალით შეეყურებთ და გუნდის განახლებაზეც თამამად ვლაპარაკობთ. ბოლო წლების აშკარად ჩავარდნის შემდეგ ჩვენი გუნდის საბრძოლო შემადგენლობაში საგრძნობი ცვლილებები მოხდა, დაწინაურდნენ ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელები და სასიკეთო განახლების პერსპექტივები საფუძვლიანად განამტკიცა მიმდინარე ჩემპიონატის პირველმა ორმა მატჩმა, სადაც დინამოელებმა საკუთარ მინდორზე ორი გამარჯვება მოიპოვეს.

მაგრამ თბილისის „დინამო“, ისევე როგორც სხვები, მარტო შინ როდი თამაშობს. მას სტუმრადაც უწევს ბრძოლა და, აი, სტუმრად ზედიზედ ორი თამაში წაეგეთ: ლენინგრადში „ზენიტთან“ და მოსკოვში „ლოკომოტივთან“.

რა შეიძლება ითქვას მეტოქეთა მინდვრებზე ჩატარებული ამ ორი მატჩის შესახებ? უპირველეს ყოვლისა ის, რომ ლენინგრადშიც და მოსკოვშიც დახურული დარბაზის ხელოვნურსაფარიან მინდორზე მოგვიწია თამაშმა, ფეხბურთში გაგებული კაცი კი იოლად დაგვერწმუნება, რომ ხელოვნური საფარი და ბუნებრივი ბალახის გაზონი დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან, თვით დახურული დარბაზის ატმოსფეროც სრულიად უცხოა შეჩვეული გუნდისთვის. ამ მოსაზრების ოპონენტებს ის შეუძლიათ გვითხრან, რომ მეტოქე გუნდები დახურულ დარბაზში თანაბარ პირობებში იმყოფებიან, ამდენად ჩივილი ზამთრის სპორტკომპლექსების სპეციფიკაზე ამ შემთხვევაში მიუღებელი არგუმენტია, იგი მხოლოდ თავის გასამართლებლად არის მოშველიებული. მაგრამ, ეს მთლად ასე არ არის. ზოგიერთი გუნდი ეჩვევა „დახურულ“ ატმოსფეროს, ზოგისთვის კი იგი მაინც უცხო, იშვიათ ხილად რჩება.

საინტერესოა ერთი რამ: უმაღლესი ლიგის საკავშირო კალენდარი ვიღაცამ ისე დაგეგმა, რომ სუსხიანი მარტის პირველ რიცხვებში სსრ კავშირის ჩემპიონატის უმნიშვნელოვანესი მატჩები ჩართო, ხოლო მომდევნო პერიოდში, როცა მთელს ჩვენს ქვეყანაში, ჩრდილოეთშიც კი, გაზაფხული შედის ძალაში და სითბო მატულობს, კალენდრის უძვირფასესი დრო ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის თასს დაუთმო (?!). განა ეს ლოგიკურია, რომ პირველზარისხოვანი შეჯიბრების დიდმნიშვნელოვანი მატჩები მარტის თოვლ-ყინულსა და ხელოვნურ საფარზე ჩატარდეს, ხოლო ფედერაციის თასის მესამეხარისხოვანი თამაშები კი აპრილისა და მაისის აბინინებულ ბალახზე? თუ სეზონის გახანგრძლივებაზეა ლაპარაკი, რაც ფრიად საჭირო ამბავი გახლავთ, საკავშირო ღონისძიებები უნდა დავიწყოთ ფედერაციის თასის გათამაშებით, ხოლო უმთავრეს შეჯიბრებას, საკავშირო ჩემპიონატს, შევუდგეთ ცოტა მოგვიანებით, ე. ი. სულ უბრალოდ: ფედერაციის თასის მატჩები დაიგეგმოს მარტში, ხოლო ოქროს მედლებისთვის გამართული ბრძოლა კი მაისში. ალბათ, მოვა დრო, როცა კალენდრის „ავტორები“ გაითვალისწინებენ ამ ყველასათვის ცხად და გასაგებ ამბავს.

მაგრამ რა ვუყოთ ლენინგრადში და მოსკოვში წაგებულ მატჩებს? ობიექტური თუ სუბიექტური არგუმენტების მოშველიება რას მოგვცემს, როცა სტუმრად ჩატარებული ორი მატჩიდან შინ ვერც ერთი ქულა ვერ ჩამოვიტანეთ! უმთავრესი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ახლანდელი ცხადი და აშკარა პროგრესის მიუხედავად ჩვენი გუნდი ჯერ კიდევ ვერ მომაგრდა, ვერ მომძლავრდა იმდენად, რომ თავის ძველ სტანდარტებს გაუტოლდეს და მყარად დადგეს ორივე ფეხზე. ჯერ კიდევ მაშინ, როცა თბილისში პირველი ორი მატჩი მოვიგეთ, კრიტიკის თვალით ვუთვალთვალებდით ჩვენს ცალკეულ ფეხბურთელებს. საიდუმლო არაა და ამის დამალვა არც მოგვცემს ხელს, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამაა მოსაწესრიგებელი თბილისის „დინამოს“ ნახევარდაცვის რგოლში, რომ ხშირია მცველთა გაუმართლებელი შეცდომები, რომ ყოველი კონკრეტული მატჩის ცალკეულ მონაკვეთში გუნდი მკვეთრად უკლებს ტემპს, ირღვევა საერთო ურთიერთმოქმედება, თავს იჩენს უხეირო თამაშის ძველი რეციდივები. სამართლიანი პრეტენზიები გვაქვს გუნდის ცალკეულ მოთამაშეთა სანებისყოფო თვისებების მიმართაც: ლენინგრადის „ზენიტთან“ ძნელი მატჩის ერთ პერიოდში ანგარიში გავათანაბრეთ, მერე კი დავთმეთ თამაში, მოსკოვის „ლოკომოტივთან“ პირველი ტაიმი მოვიგეთ, მაგრამ შემდეგ მეტოქეს გადავაბარეთ ინიციატივა. ჯერ კიდევ ცხადად შესამჩნევია, რომ თბილისის „დინამო“ მეტოქის მინდორზე შებრძოლად, უინიციატივოდ თამაშობს, ასეთ ვითარებაში კი დიდ წარმატებებზე ფიქრი შეუძლებელი საქმეა.

ისევე როგორც ლენინგრადში, მოსკოვის „ლოკომოტივთანაც“ დინამოელებს ურიგოდ არ უთამაშიათ, ამიტომაც. საპანიკო, ჩვენი აზრით, არაფერი გვაქვს. დარწმუნებული ვართ, რომ ისინი გულდასმით ანალიზს გაუკეთებენ თითოეულ შეცდომას, ყოველნაირად შეეცდებიან შემდგომ საპასუხისმგებლო მატჩებში, კერძოდ, მოსკოვის „დინამოსთან“, გამოასწორონ ისინი.

შეგვეძლო თუ არა თავიდან აგვეცილებინა დამარცხება „ლოკომოტივთან“, როცა პირველი ბურთი ჩვენ გავიტანეთ და შემდგომშიც რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი შევქმენით მასპინძელთა კართან (ძელმა ორჯერ იხსნა „ლოკომოტივი“ აშკარა გოლისგან), მაგრამ საკმარისი გახდა მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეუთანხმებლად ეთამაშათ ჩვენს მცველსა და მეკარეს, რომ რუსიაევმა მოასწრო თავს ზემოთ გადაეგდო ბურთი გაბელიასთვის და ანგარიშიც გათანაბრდა. 74-ე წუთზე „დინამოს“ მცველებმა კვლავ უზუსტოდ ითამაშეს და რუსიაევს შესაძლებლობა მიეცა მეორედ გაეგზავნა ბურთი კარში. თბილისელები კი გურულის მიერ მე-12 წუთზე პენალტით გატანილ ერთადერთ გოლს დასჯერდნენ.

მატჩის მეორე დღეს რედაქციაში გვირეკავდნენ, ბევრმა კრიტიკული შენიშვნებით აღსავსე წერილიც მოიტანა იმის თაობაზე, რომ ჩვენი გუნდის 4-ქულიან სასტარტო აქტივს ასეთივე 4-ქულიან პასიკი მოჰყვა. გულშემატკივრები სამართლიანად მოითხოვენ ახსნა-განმარტებას.

ფეხბურთს ასეთი დაუწერელი კანონი აქვს: გულშემატკივარი ფუჭამართალია. შეიძლება ითქვას, იგი ახლაც მართალია, როცა პირველი ორი გამარჯვების შემდგომი მარცხის მიზეზების სათავეს ეძებს, მაგრამ, ეფიქრობთ, ყველა, თუნდაც ყველაზე უფრო კრიტიკულად განწყობილი კაციც დაგვეთანხმება, რომ იმ რთულ გარდაქმნას, რომელსაც ამჟამად ჩვენი გუნდი განიცდის, ასე უცბად არ შეიძლება მოჰყვეს ასპროცენტიანი წარმატება. შესაძლოა ჯერ კიდევ გვექნეს ჩავარდნილი მატჩები, წაგებასაც საკმარისად მოვესწრებით, მაგრამ იმედის გადასაწურავი საბაბი ჯერ არაფერი გვაქვს. თბილისის „დინამო“ ეძებს თავის თამაშს, ახალგაზრდებიც და ვეტერანებიც თავგამოდებით იბრძვიან და, ეჭვი არაა, ყოველივე ამას მალე მოჰყვება გამართული, სტაბილური, ხარისხიანი თამაში. მთავარია რწმენა არ დაკარგოთ და საიმედოდ ვედგათ გვერდში ჩვენს გუნდს, გვწამდეს მისი, გვჯეროდეს იმ ახალგაზრდებისა, რომლებმაც კვლავ უნდა დაუბრუნონ თბილისის „დინამოს“ ადრინდელი სიძლიერე.

„ლელოს“ ფეხბურთის განყოფილება.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობა ◎ მდგომარეობა 30 მარტისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ	ბ.	ქ.
1. „ტორპედო“ (მოსკოვი)	4	3	1	0	5-0	7
2. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	4	3	0	1	11-8	6
3. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	4	3	0	1	4-3	6
4. „დინამო“ (მოსკოვი)	4	2	1	1	6-4	5
5. „შახტიორი“ (დონეცკი)	4	2	1	1	5-3	5
6. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	4	2	1	1	4-3	5
7. „ფალგარისი“ (ვილნიუსი)	4	2	0	2	5-4	4
8. „დინამო“ (თბილისი)	4	2	0	2	9-9	4
9. „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	4	2	0	2	2-3	4
10. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	4	1	2	1	3-2	4
11. „დინამო“ (კიევი)	4	1	2	1	3-3	4
12. „დინამო“ (მინსკი)	3	1	1	1	4-3	3
13. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	4	1	1	2	3-5	3
14. „არარატი“ (ერევანი)	3	1	0	2	2-3	2
15. „ქაირათი“ (ალმა-ათა)	4	0	0	4	0-6	0
16. „ნეფთჩი“ (ბაქო)	4	0	0	4	1-8	0

ლიგის რეორგანიზაცია

საბჭოთა კავშირის საფეხბურთო პირველობის II ლიგაში მოხდა ზონების რეორგანიზაცია — დღევანდელ გათამაშებაში ჩვენი რესპუბლიკის გუნდები მონაწილეობას მიიღებენ III და IX ზონებში. მესამე ზონაში ითამაშებს ჩვენი 4 გუნდი: „დინამო“ (სოხუმი), „კოლხეთი“ (ფოთი), „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „მერცხალი“ (ზახარაძე); მეცხრე ზონაში: „ტორპედო“ (ქუთაისი), „შევარდენი“-სპი (თბილისი), „მეტალურგი“ (რუსთავი), „ფილა“ (გორი), საუწყვეთაშორისო ოლიმპიური მომზადების ცენტრი (თბილისი). ზემოთ ჩამოთვლილი ზონების სრულ შემადგენლობას ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

II ლიგის გუნდების ასპარეზობა 24 აპრილს დაიწყება.

წარსულში ცნობილი პოლონელი ფეხბურთელი ვლოძიმეჟ ლიუბანსკი ბელგიის „ლოკერენის“ მწვრთნელად დაინიშნა. ამ პოსტზე მან ჰოლანდიელი ვიმ ფანსენი შეცვალა.

ბრემენის „ვერდერის“ მწვრთნელი, ორმოცდაცხრა წლის ოტო რეჰაგელი გფრ-ის ლიგაში მომუშავე საუკეთესო მწვრთნელადაა მიჩნეული. მეორე ადგილი კრისტოფ დაუმს („კიოლნი“) მიენიჭა, მესამე — იუპ ჰეინკესს („ბაიერნი“).

ფოტლანდიის ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე პირველი შავკანიანი ფეხბურთელი მარკ ვალტერსი გახლავთ. ინგლისის იუნიორთა ნაკრების ყოფილი გარემარბი ახლა 23 წლისაა. ვალტერსის მიწვევა სურდათ „უოთფორდს“, „ნიუკასლსა“ და იტალიის „პიზას“, მაგრამ მან „გლასგო რეინჯერსი“ აირჩია.

ჟაიროში გაიმართა „აფრო-აზიის“ თასის ფინალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ ეგვიპტის „ზამალეკი“ და იაპონიის „ფურუკავა“. მატჩი, რომელსაც 100 ათასი მაყურებელი დაესწრო, ეგვიპტელებმა მოიგეს — 2:0.

იტალიურმა ფირმამ იპს-მა დაწესა ჯილდო, რომელსაც „სკუადრა დელ კუორე“ (ჩვენი გულის გუნდი) უწოდეს. გამოკითხვაში მონაწილე მილიონზე მეტმა მაყურებელმა ჯილდო „იუვენტუსს“ მიანიჭა.

ბოლივიელი წლიდან იტალიის ლიგაში 18 გუნდი ითამაშებს.

დამთავრდა აფრიკის თასის გათამაშება, გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ კამერუნისა და ნიგერიის გუნდები. კამერუნელმა ფეხბურთელმა კუნდემ 55-ე წუთზე ნიგერიელთა კარში გაიტანა ერთადერთი ბურთი, რამაც გამარჯვება მოუტანა კამერუნის ნაკრებს და იგი კონტინენტის თასს დაეუფლა.

ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩი გაიმართა ველინგტონში. ავსტრალიელებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ტაივანის გუნდი და თავიანთ ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ.

თქვენ რას იტყვით, კოლეგა?

ამ დღეებში თბილისში სტუმრად იმყოფება გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ სპეციალური კორესპონდენტი ლეონიდ ტრახტენბერგი, რომლის პუბლიკაციები საფეხბურთო თემაზე კარგად არის ცნობილი ჩვენს რესპუბლიკაში. გუშინ ჩვენი კოლეგა რედაქციაში გვეწვია. ვისარგებლეთ შემთხვევით და ლ. ტრახტენბერგს ვთხოვეთ, გაეზიარებინა თავისი შეხედულებანი თბილისის „დინამოზე“, საერთოდ, ქართულ ფეხბურთზე.

ვინ იცის?..

— ბედმა გამიღიმა, — გვითხრა ლეონიდმა. — ჩემი მივლინება დაემთხვა იმ დღეებს, როცა საქართველოს ტელევიზიამ გულშემატკივრებს უჩვენა თბილისის „დინამოს“ დაუვიწყარი მატჩები თასების მფლობელთა თასის 1981 წლის გათამაშებაში. დრომ თითქოს უკან დაიხია. ეს იყო სასიამოვნო მოგონებათა ბედნიერი წუთები, რომლებმაც ქართული ფეხბურთის ოქროს ხანაში დაგვაბრუნა. ეს ოქროს ხანა ჩვენს ფეხბურთს აჩუქეს ჭეშმარიტმა ვარსკვლავებმა, რომლებიც ერთ გუნდში გაერთიანდნენ და თბილისის „დინამოს“ სახელით მთელი ევროპა მოხიბლეს.

მაგრამ ნებისმიერ გუნდს რამდენიმე ცხოვრებით ცხოვრება უწერია. ფეხბურთელთა ერთ თაობას ძეორე ცვლის. და მიუხედავად იმისა, რომ თბილისის „დინამოს“ ღირსებას დღესაც იცავს იმ უბრწყინვალესი გუნდის რამდენიმე მოთამაშე, ეს უკვე ახალი „დინამოა“. როგორ წარიმართება მისი შემდგომი ცხოვრება?

ვუსურვებდი, რომ ახალგაზრდა დინამოელებს ისეთივე ბედნიერება და სიხარული განეცადათ, როგორიც მათმა გამოცდილმა პარტნიორებმა ოთარ გაბელიამ, თენგიზ სულაქველიძემ და ზაურ სვანაძემ განიცადეს. დიდი იმედი მაქვს, რომ ასეც იქნება, რადგან მწამს, თბილისის „დინამო“ არ შეიძლება ცუდად თამაშობდეს, ისევე როგორც ცუდად თამაში არ შეუძლია ბრაზილიის ნაკრებს. ასეთი თამამი ანალოგია შემთხვევითი არ არის. საყოველთაოდ ცნობილი მოსაზრებაა, რომ ბრაზილიაში ფეხბურთელებად იბადებიან, მე კი ვფიქრობ, რომ ასეთი რამ ხდება ტალანტებით მდიდარ ქართულ მიწაზეც.

არსად ისე არ უყვართ თავიანთი ფეხბურთელები, თავიანთი გუნდი, როგორც თბილისში. მაგრამ სიყვარული საპასუხო გრძნობას მოითხოვს. ვინაიდან, როცა სიყვარული ცალმხრივია, როცა გულშემატკივარი სტადიონის ტრიბუნებს გაწბილებული ტოვებს, ვინ არის ამაში დამნაშავე? რა თქმა უნდა, ისინი, ვისაც ასე ეტრფის ქომაგი.

მაგრამ მოდით, მოთმინებით აღვიჭურვოთ და მეტისმეტად მკაცრად ნუ განვსჯით დღევანდელ დინამოელებს, ახლანდელ გუნდს ნუ შევადარებთ იმას, რომელიც შაბათს და კვირას ტელეეკრანზე ვიხილეთ. ვარსკვლავები ცაზე ყოველ ღამით როდი კიაფობენ. ვარსკვლავები ფეხბურთში ყოველდღიურად როდი იბადებიან. ვინ იცის, იქნებ მათ დღესაც აცვიათ თბილისის „დინამოს“ მაისურა? ამას მალე შევიტყობთ. ჯერჯერობით კი ახალგაზრდა თბილისელი მოთამაშეები ჩვენს ფეხბურთში ადგილს იმკვიდრებენ. რამდენად მტკიცე ხასიათი აღმოაჩნდებათ მათ? შეძლებენ თუ არა ჩემპიონატში განცდილი ზედიზედ ორი დასანანი დამარცხების შემდეგ არ დაკარგონ საკუთარი თავის რწმენა?

ვფიქრობ, შეძლებენ...

გ. ანთაძის თასზე

ბათუმში დასასრულს უახლოვდება სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. ანთაძის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში. 28 მარტს გაიმართა ტურნირის ბოლოსწინა შეხვედრები. საქართველოს ნაკრები-„იმედი“ (1971 წ. დაბადებულნი) — სომხეთის ნაკრები 0:0, „დინამო“ (ბათუმი) — საქართველოს ნაკრები (1972 წ.) 1:0, 35-ე სკოლა (თბილისი) — უზბეკეთის ნაკრები 4:2.

7 ქულით ტურნირს ლიდერობს „იმედი“, 6 ქულით მეორე ადგილზეა 1972 წ. დაბადებულთა საქართველოს ნაკრები, 35-ე სკოლა 4 ქულით მესამე საფეხურზეა. სამ-სამი ქულა აქვთ სომხეთსა და ბათუმის „დინამოს“, ქულა — უზბეკეთის ნაკრებს.

ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან: „იმედი“ — საქართველოს ნაკრები; 35-ე სკოლა (თბილისი) — სომხეთის ნაკრები; „დინამო“ (ბათუმი) — უზბეკეთის ნაკრები.

გ. გვანცელაძე,
საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს რეზერვების განყოფილების უფროსი მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სურათზე: თბილისის 35-ე სკოლისა და ბათუმის „დინამოს“ ნორჩ ფეხბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

ერთპიროვნული ლიდერები

გასულ შაბათს და კვირას ჩატარდა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მეხუთე და მეექვსე ტურის მატჩები.

პირველი ჯგუფი. ქუთაისი — უნივერსიტეტი (თბილისი) 81:55 (34:29) და 60:75 (32:40), ბათუმი — „დინამო“ (თბილისი) 84:58 (35:30) და 87:77 (52:34), გორი — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 77:92 (35:49) და 66:99 (34:52).

ყურადღების ცენტრში, ცხადია, ლიდერთა — ქუთაისისა და უნივერსიტეტის შეხვედრა იყო. ძალთა შეფარდება აქ დაახლოებით თანაბარი აღმოჩნდა და მეტოქეებმაც ქულები გაიყვეს. კარგად ჩატარეს ამ ტურის მატჩები ბათუმელებმა. მათ ორჯერ აჯობეს თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა კალათბურთელებს: ფიზკულტურის ინსტიტუტმა გორში გამარჯვების შემდეგ ხელთ იგდო ერთპიროვნული ლიდერობა.

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ფიზკ. ინსტ. (თბ.)	6	6	0	669-451	12
უნივერსიტ. (თბ.)	6	5	1	559-430	11
ქუთაისი	6	5	1	550-462	11
ბათუმი	6	2	4	438-569	8
გორი	6	0	6	464-569	6
„დინ“. (თბ.)	6	0	6	466-665	6

მეორე ჯგუფი. რუსთავისა და „მართვეს“ შეხვედრა სპპატიო მიზეზით არ ჩატარდა. დანარჩენი ორი მატჩი ასე დამთავრდა: „სინათლე“ (თბილისი) — სოხუმი 112:110 (58:52) და 122:106 (58:44). თელავი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 94:117 (36:60) და 100:128 (43:53).

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა „სინათლისა“ და სოხუმის პირველი ორთაბრძოლა. მეორეში კი თბილისელებმა უფრო იოლად გაიმარჯვეს. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა თელავში ორივე შეხვედრა მოიგეს. პირველ მატჩში თბილისელმა გიორგობიანმა თავისებური რეკორდი დაამყარა: თავის კოლექტივს 61 ქულა შესძინა.

„სინათლე“ (თბ.)	6	5	1	690-581	11
სოხუმი	6	4	2	599-572	10
სპი (თბ.)	4	4	0	461-365	8
თელავი	6	0	6	522-664	6
რუსთავი	4	1	3	369-442	5
„მართვე“ (თბ.)	2	0	2	177-194	2



მეცხრე ადგილზე

მ. კეკელიძის სახელობის ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლის კალათბურთის სასახლეში დამთავრდა პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო პირველობის დასკვნითი ტური. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა ბოლო ორი შეხვედრიდან ერთი მოიგეს და სატურნირო ცხრილში საბოლოოდ IX ადგილი დაიკავეს.

ფრუნზეს „სტროიტელთან“ მატჩში ჩვენებს ყველაფერი გამოსდიოდათ: სწრაფი შეტევებიც, პოზიციური თამაშიც და შორიდან სროლებიც. ბრძოლის ბედიც სწორედ ამან გადაწყვიტა. სტუდენტებმა გაიმარჯვეს 93:78 (62:31).

მეორე დღეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები ლენინგრადის „ბურევესტნიკთან“ თამაშობდნენ. ამ შეხვედრის შედეგს არც ერთი გუნდისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, თბილისელები გამარჯვების შემთხვევაშიც იმავე ადგილზე რჩებოდნენ, „ბურევესტნიკი“ კი ნებისმიერ შემთხვევაში ემშვიდობებოდა პირველ ლიგას. ეს მატჩი ლენინგრადელებმა მოიგეს 78:76 (42:41).

შაბათ-კვირის სხვა მატჩები დამთავრდა ასე: „ვოლნა“ (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 83:70 (44:29), „ვოლნა“ (ლენინგრადი) — „სტროიტელი“ (ფრუნზე) 88:77 (42:35).

ნუ წავართმევთ ბავშვებს სიხარულს

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ჭაბუკთა გუნდების მონაწილეობით.

ამ ტურნირის მნიშვნელობაზე პრესაში ბევრი თბილი სიტყვა ითქვა, მათ გამეორებას, ცხადია, აღარ შევუდგებით, მაგრამ ერთი შენიშვნა მაინც უნდა გავაკეთოთ. შეჯიბრებამ უჩვეულოდ გამოაცოცხლა ჭაბუკთა კალათბურთი და ყოველი შეხვედრა, კალენდარული მატჩი ნამდვილ სპორტულ დღესასწაულად აქცია. სამწუხაროდ, აფხაზეთის ნორჩთა კოლექტივი ამ ზეიმის მიღმა დარჩა. ავტონომიური რესპუბლიკის კალათბურთელები არ გამოცხადდნენ სათამაშოდ თელავში, არ ჩამოვიდნენ ისინი თბილისშიც, ამიტომ მათი ამ ტურის მატჩი „სინათლესთან“, ბუნებრივია, არ შედგა.

სპორტსკოლის მესვეურები მიზეზად უსახსრობას ასახელებენ, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ავტონომიურ რესპუბლიკას ასეთი ხარჯების გაღება გუჭირდეს, მით უფრო, როცა ეს არ უჭირთ თელავს, გორს, რუსთავსა და სხვა ქალაქებს.

გუნდი, რომელიც სისტემატურად არ ცხადდება თამაშზე, შეჯიბრების დებულების თანახმად, უნდა მოიხსნას, მაგრამ გუშინწინ სოხუმიდან საქართველოს სპორტსახკომის შესაბამის განყოფილებას აცნობეს, რომ სახსრები ბოლოს და ბოლოს გამოინახა და სოხუმის ნორჩთა კოლექტივი ტურნირში ჩაებმებოდა. ამჯერად სოხუმელთა თხოვნა შეიწყნარეს, მაგრამ ეს ფაქტი ყველასთვის გაფრთხილება უნდა იყოს. ტურნირის ორგანიზატორები მსგავსი შემთხვევის გამეორებისას მკაცრ სანქციებს მიმართავენ. ბავშვებს არ უნდა წავართვათ სიხარული.

არ ჩატარდა კიდევ ერთი წყვილის — რუსთავისა და „მართვეს“ შეხვედრა, მაგრამ აქ მიზეზი სპატარა იყო. „მართვე“ ქალაქთა საკავშირო პირველობაში ასპარეზობდა და გამოტოვებულ მატჩებს მოგვიანებით გამართავს.

ახლა მორიგი ტურების მატჩებზე:

პირველი ჯგუფი. გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი თბილისის „დინამო“ ბათუმში თავის უახლოეს მეტოქეს — ადგილობრივ გუნდს შეხვდა. სტუმრებმა ორივე მატჩი მოიგეს, თუმცა პირველში ბრძოლა უაღრესად მძაფრი და დაძაბული იყო — 58:55 (28:26) და 76:57 (39:14).

საგრძნობლად გამოაკეთა მდგომარეობა გორის გუნდმა, რომელიც ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებთან თამაშობდა თავის მოედანზე, გორელებმა ორთავე შეხვედრაში გაიმარჯვეს 65:38 (25:15) და 73:53 (45:32).

ქუთაისისა და თბილისის უნივერსიტეტის კალათბურთელთა შეხვედრაში წარმატებას ქუთაისელებმა მიაღწიეს — 59:50 (36:19) და 64:49 (30:22).

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბ.)	6	6	0	534-348	12
გორი	6	5	1	373-324	11
ბათუმი	6	3	3	367-330	9
ქუთაისი	6	2	4	369-399	8
უნივერსიტ. (თბ.)	6	2	4	348-374	8
ფიზ. ინს. (თბ.)	6	0	6	261-277	6

მეორე ჯგუფი. როგორც უკვე ვთქვით, ამ ჯგუფში მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩატარდა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა ორჯერ დაამარცხა თელავის კალათბურთელები მის მოედანზე 81:72 (44:38) და 58:41 (41:12).

სპი (თბ.)	6	5	1	482-436	11
„მართვე“ (თბ.)	4	3	1	373-336	7
თელავი	4	2	2	257-264	6
„სინათლე“ (თბ.)	4	2	2	269-268	6
რუსთავი	4	0	4	254-321	4
სოხუმი	2	0	2	70-180	2

„მართვე“— საბჭოთა კავშირის ჩემპიონი

თბილისში საინტერესოდ მიმდინარეობდა ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა სპორტსკოლების საკავშირო პირველობის ფინალური ტურნირი კალათბურთში. გასულ შაბათს თბილისის „მართვემ“ ლამაზი და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ჩერეპოვეცის გუნდთან — 110:90 (61:48). ეს იყო მართლაც საინტერესო, სანახაობრივად მიმზიდველი ბრძოლა.

ამ დღეს კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა, მათგან ერთში სარეკორდო შედეგი აღინიშნა. მინსკელმა დეინეკამ პანევეჟისის გუნდთან ბრძოლაში თავის კოლექტივს 49 ქულა შესძინა. შეხვედრა ბელორუსმა კალათბურთელებმა 3 ქულის სხვაობით მოიგეს — 83:80 (49:38).

ხიმკის (მოსკოვის ოლქი) და პანევეჟისის გუნდების შეხვედრაში გამარჯვების ბედი ერთმა ქულამ გადაწყვიტა. მოსკოვის ოლქის კალათბურთელებმა წარმატებას მიაღწიეს ანგარიშით 105:104 (61:52).

კვირას ქართველმა კალათბურთელებმა კიდევ ერთი, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს და სანუკვარი მიზნისკენ ახალი ნაბიჯი გადადგეს. მინსკის გუნდმა მასპინძლებს მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია. შესვენების შემდეგ კი „მართვეს“ უპირატესობა უღალ გახდა და მან მოიგო კიდეც შეხვედრა 92:67 (43:34). წინა დღის „რეკორდსმენი“ დეინეკა ამ თამაშში საიმედოდ იყო ნეიტრალიზებული და მან თავის კოლექტივს მხოლოდ 22 ქულა შესძინა. ჩვენს გუნდში საუკეთესო სნაიპერი შენგელია იყო — 19 ქულა.

დღის სხვა ორი მატჩი ასე დამთავრდა: ტალინი — ჩერეპოვეცი 126:86 (58:57), პანევეჟისი — მოსკოვის საბჭოთა რაიონი 81:65 (38:36).

ბოლოსწინა ტურში „მართვე“ ისვენებდა. ამ დღის შეხვედრები ასე დასრულდა: ტალინი — მოსკოვი (საბჭოთა რაიონი) 79:78 (49:38), მინსკი — „ხიმკი“ (მოსკოვის ოლქი) 108:140 (49:65), პანევეჟისი (ლიტვა) — ჩერეპოვეცი (რსფსრ) 82:79 (49:46).

გუშინ გაიმართა დასკვნითი მატჩები. ყურადღების ცენტრში იყო „მართვესა“ და ტალინის კალათბურთელთა შეხვედრა, რომელსაც ფაქტიურად უძლიერესი გუნდი უნდა დაესახელებინა. ეს ორთაბრძოლა ჩვენმა თანამემამულეებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს. ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს და ზუსტი, აზრიანი თამაშით დასაწყისშივე გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწიეს. მერვე წუთისთვის თბილისელები წინ იყვნენ 20 ქულით (26-46). ტაიმი ქართველმა კალათბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 46:34.

შესვენების შემდეგაც მასპინძლებს ერთი წუთითაც არ დაუთმიათ ინიციატივა. უნდა ითქვას, რომ ესტონელებიც თავგამოდებით იბრძოდნენ და ერთ მომენტში სხვაობა 7 ქულამდეც შეამცირეს (62:55). მაგრამ შეხვედრის ბედი არც ამ მონაკვეთში იწვევდა ეჭვს. მატჩის ბოლო წუთები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. „მართვემ“ მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება ანგარიშით 90:78 და ამ პრესტიჟულ ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა.

გუშინდელი სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა მოსკოვი (საბჭოთა რაიონი) — მინსკი 113:89 (61:39), „ხიმკი“ (მოსკოვის ოლქი) —პანევეჟისი 137:125 (66:51).

ბოლო ტურში მონაწილე გუნდების საუკეთესო მოთამაშეებს, რომლებიც სპეციალურმა ჟიურიმ გამოავლინა, პრიზები გადაეცათ. დაჯილდოებულთა შორის იყვნენ: ლ. ზასეცკი (მოსკოვი, საბჭოთა რაიონი), ვ. დეინეკა (მინსკი), ა. ნიკონოვი (ხიმკი, მოსკოვის ოლქი), ა. კემზურა (პანევეჟისი), ა. ორმოცაძე („მართვე“), ა. კალლუ (ტალინი).

გთავაზობთ გათამაშების საბოლოო ცხრილს:

	თ.	მ.	წ.	ქ.
„მართვე“ (თბ.)	6	5	1	11
„ხიმკი“ (მოსკ. ოლქი)	6	4	2	10
ტალინი (ესტონეთი)	6	4	2	10
მოსკოვი (საბჭ. რაიონი)	6	3	3	9
მინსკი (ბელორუსია)	6	2	4	8
პანევეჟისი (ლიტვა)	6	2	4	8
ჩერეპოვეცი (რსფსრ)	6	1	5	7

საერთაშორისო ფეხბურთი: ევროპიონატი, ცხრილები

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

ინგლისი

33-ე ტური. „არსენალი“ — „ნიუკასლი“ 1:1, „ქოვენთრი“ — „დერბი“ 0:3; „ნოტინგემი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 0:0, „ოქსფორდი“ — „ჩელსი“ 4:4, „ქუინზ პარკი“ — „ნორვიჩი“ 3:0, „შეფილდი“ — „პორთსმუტი“ 1:0, „საუთჰემპტონი“ — „ჩარლტონი“ 0:1, „ვესთ ჰემი“ — „უოტფორდი“ 1:0, „უიმბლდონი“ — „ტოტენჰემი“ 3:0, „ევერტონი“ — „ლივერპული“ 1:0.

„ლივერპული“	29	67-13	73
„მანჩესტ. იუნ.“	32	48-30	59
„ნოტინგემი“	29	52-26	53
„ევერტონი“	30	41-18	53
„ვერდერი“	24	46-14	38
„ბაიერნი“	24	57-29	36
„კოლნი“	24	39-19	34

შვეიცარია

ფინალური ტურნირის მეორე ტური. „აარაუ“ — „ლოზანა“ 3:1, „გრასჰოპერსი“ — „სერვეტი“ 3:3, „ქსამაქსი“ — „ლიუცერნი“ 1:1, „სენტ გალენი“ — „იანგ ბოისი“ 2:1.

„ქსამაქსი“	19 ქულა
„გრასჰოპერსი“	16 ქულა
„აარაუ“	15 ქულა

იუგოსლავია

მე-20 ტური. „ცრვენა ზვეზდა“— „რადნიჩკი“ (ნიში) 4:2,„ჟელეზნიჩარი“ — „ნიკსიჩი“ 3:0, „ოსიეკი“ — „ჰაიდუკი“ 1:1, „ზენიცა“ — „პარტიზანი“ 0:0, „ვოივოდინა“— „ტუზლა“ 2:0, „ბუდუჩნოსტი“ — „ნკ სარაევო“ 0:0, „ველეჟი“ — „რიეკა“ 1:1, „რადნიჩკი“ (ბელგრადი) — „პრისტინა“ 1:0, „ვარდარი“ — „დინამო“ (ზაგრები) 4:0.

„ცრვენა ზვეზდა“	20	26
„ველეჟი“	20	25
„ვარდარი“	20	25

შოტლანდია

37-ე ტური. „დანდი იუნაიტედი“ — „აბერდინი“ 0:2, „დანფერმლინი“ — „დანდი“ 6:1, „ფალკირკი“ —„მოღერეული“ 0:0, „ჰიბერნიანსი“ — „ჰარტსი“ 0:0, „მორტონი“ — „სენტ მირენი“ 0:2, „რეინჯერსი“ — „სელტიკი“ 1:2.

„სელტიკი“	36	57
„რეინჯერსი“	37	53
„ჰარტსი“	37	50

ДЛЕЗ ІФЧЕЗА

ᲣᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ ქალაქ ოშში დამთავრდა რეგბისტთა საკავშირო თასის გათამაშების IV ქვეჯგუფის შეშეჯიბრება. თბილისელმა რკინიგზელებმა ბოლო ორი შეხვედრა წაგვეს მოსკოვის „სლავასთან“ (9:15) და ალმაათელ არმიელებთან (3:12) და საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავეს. მეოთხედფინალის საგზურები წილად ხვდათ ალმაათელ და მოსკოველ რეგბისტებს. მეორე ადგილზე „სლავა“ გავიდა, ამიტომ სწორედ ის იქნება ქუთაისის „მშენებლის“ მეტოქე მეოთხედფინალურ შეხვედრაში, რომელიც 25 აგვისტოს გაიმართება ქუთაისში.

დღეს ტირასპოლის „ელექტრომაშისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მატჩით იწყება XXV საკავშირო ჩემპიონატი. საქართველოს გუნდები შეჯიბრებაში ხვალ ჩაებმებიან. ქუთაისელები მონინოს სსა-ს უმასპინძლებენ, თბილისელები — მოსკოვის „სლავას“.

„სპორტპროგნოზი“

მე-12 ტირაჟის შედეგები (19-20 მარტი)

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ მე-12 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 19-20 მარტს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 7.406.941 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (597) მოგება 186 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (23.068) — 9 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (176.339) — 4 მანეთი.

მოგებები გაიცემა 1988 წლის 12 აპრილიდან 12 მაისამდე.

კიდევ სამი ტური



კაუნასი. გთავაზობთ უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაუთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო სამი ტურის შეხვედრათა შედეგებს:

26 მარტი. „გრანიტასი“ (კაუნასი) — სპი (თბილისი) 21:19 (12:9), „კაუსტიკი“ (ვოლგოგრადი) — ასკ (კიევი) 22:20 (11:9), „ნევა“ (ლენინგრადი) — სკიფ-ი (კრასნოდარი) 28:28 (14:13), „დინამო“ (ასტრახანი) — ცსკა-ა 19:19 (15:9), ასკ (მინსკი) — „პოლიოტი“ (ჩელიაბინსკი) 36:27 (18:8), მაი — ზიი (ზაპოროჟიე) 16:16 (8:8).

27 მარტი. „პოლიოტი“ — სპი (თბილსი) 33:20 (15:13), „დინამო“ (ასტრახანი) — „კაუსტიკი“ 27:21 (15:11), ასკ (კიევი) — სკიფ-ი (კრასნოდარი) 24:23 (15:10), ასკ (მინსკი) — ზიი 27:20 (15:8), „ნევა“ — „გრანიტასი“ 30:27 (15:13), ცსკა — მაი 30:23 (17:10).

28 მარტი. ზიი — სპი (თბილისი) 29:16 (13:8), ცსკა — ასკ (მინსკი) 19:18 (11:8), „კაუსტიკი“ — მაი 21:20 (8:11), სკიფ-ი (კრასნოდარი) — „დინამო“ (ასტრახანი) 28:18 (12:10), „პოლიოტი“ — „ნევა“ 29:27 (16:14), ასკ (კიევი) — „გრანიტასი“ 25:23 (13:13).

22-ე ტურის შემდეგ (კაუნასისა და და კიევის ხელბურთელებმა ერთი შეხვედრით ნაკლები ჩაატარეს) სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

ასკ (მინსკი)	22	41
ცსკა	22	31
სკიფ-ი (კრასნოდ.)	22	26
„დინამო“ (ასტრახ.)	22	25
„პოლიოტი“ (ჩელიაბ.)	22	25
ზიი (ზაპოროჟიე)	22	23
ასკ (კიევი)	21	22
მაი	22	21
„ნევა“ (ლენინგრ.)	22	19
„გრანიტასი“ (კაუნ.)	21	14
„კაუსტიკი“ (ვოლგ.)	22	11
სპი (თბ.)	22	4

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 10711